




ხაშურის მთაშუა



№25 (56)

5 ივლისი, სამშაბათი,

2016 წელი

გიორგი გურასპაშვილი: ვფიქრობ, 2016 წლის სტარტი კარგი გამოვიდა და გაგრძელება უკეთესი იქნება

მიმდინარე წელს ჩვენი მკითხველი მუნიციპალიტეტის გამგებელთან არ შეგვიხვედრებია. არადა, გასულ ექვს თვეში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა რაიონში, როგორც ეკონომიკური, ასევე შემოქმედებითი კუთხით. ვფიქრობთ, დღევანდელი ინტერვიუ ბატონ გიორგი გურასპაშვილთან საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო ფენისათვის:

- ბატონო გიორგი, გასული 6 თვე რომ შევაჯამოთ, როგორია ანგარიში, რომელსაც მოსახლეობას წარუდგენთ?

- განსხვავებით წინა წლებისგან, 2016 წელს მომზადებული პროექტებით შევხვდით. რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით და-



ფინანსებული ყველა პროექტის განხორციელება გაცილებით ადრე დაიწყო. გამოყოფილი თანხა კი 3 200 000 ლარზე მეტი იყო, რამაც საშუალება მოგვცა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და სამუშაოების ვადაზე ადრე დაწყების. ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსახორციელებელი პროექტებიც ხორციელდება, დაახლოებით 20 ობიექტი უკვე დასრულდა. ნაწილი შემოდგომისთვის დასრულდება. წელს მთლიანად 9 000 000 ლარი იხარჯება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მსგავსი პრეცედენტი აქამდე არ ყოფილა, ეს თავისთავად ხელს დაატყობს ჩვენი ქალაქის ინფრასტრუქტურას. გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, ბევრია, თუმცა, ვფიქრობ, რომ სტარტი კარგია და გაგრძელება უკეთესი შედეგის მომტანი იქნება. გასწორებული წვიმები ხელს უშლიდა ზოგიერთი სამუშაოს შესრულებას, მაგრამ ჩამორჩენები არ გვქონია. დასრულებულია რამდენიმე ქუჩის მოასფალტება, სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის რემონტი, რამდენიმე ხიდის აშენება-რეაბილიტაცია მოხდა. გაიმართა წყალმომარაგების სისტემები, უკვე დასრულებულია 500 000 ლარის ღირებულების ტენდერები სოფლის მხარდაჭერის პროგრამით და დანარჩენი ახალ კვირაში გამოცხადდება, რამდენიმე დღეში გამოცხადდება ცენტრალური მოედნის მოპირკეთებისა და რეაბილიტაციის პროექტი, ასევე, კულტურის სახლის რემონტის პროექტზეც ამ დღეებში გამოცხადდება ტენდერი. ამ პერიოდში მიმდინარეობს სპორტკომპლექსის მშენებლობა, თუმცა საპროექტოსთან იყო გარკვეული შენიშვნები, ყველაფერი მოგვარებულია, მშენებლობა არ შეფერხებულა და ობიექტი დათქმულ ვადაში ჩაბარდება.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით წელს რა თანხაა განსაზღვრული და პრიორიტეტები ხომ არ შეიცვალა?

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 850 000 ლარია განსაზღვრული, ძირითადი აქცენტები წელსაც გზების, სანიაღვრე და წყალმომარაგების სისტემების მოწყობაზე კეთდება, თუმცა, წელს, მთავრობის განკარგულებით დამატებით, გამოიყო 260 000 ლარი მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლებისათვის. ერთ-ერთი პროექტი გვქონდა გამზადებული სოფელ პატარა ფლევის ჭაბურღილისა და წყალმომარაგების სისტემისთვის და აღნიშნული პროექტი დაფინანსდა საქართველოს მთავრობის მიერ. უახლოეს დღეებში მივიღებთ განკარგულებას, გამოცხადდება ტენდერი და წლის განმავლობაში მოეწყობა კაპიტალური ქსელი, რომელიც სოფელში მოხსნის წყლის პრობლემას.

- ეს თანხები არის საკმარისი სოფლებში ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსახსნელად?

- იმ პირობებში, როდესაც ათეულობით წლის განმავლობაში სერიოზული პროექტები არ განხორციელებულა სოფლად, ეს თანხები არაა საკმარისი, თუმცა, თუ მოხდება გონივრული და გეგმაზომიერი განაწილება ფულადი რესურსის, ბევრი პრობლემის მოგვარება შეხადლებელი. ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი გაკეთდა: გარეგანათლებელი, სანიაღვრე სისტემები, გზები, ეტაპობრივად კიდევ ბევრი პრობლემის გადაწყვეტას შევძლებთ სოფლის მოსახლეობისათვის.

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სოფლების გაზიფიცირებაა. სოფ

(დასასრული II გვერდზე)

1 ივლისს, სურამში, უკვე მეორედ ეროვნული ფოლკლორის ფესტივალ "არტ-გენს" უმასპინძლა. ფესტივალმა 2004 წლიდან არსებობს. თავდაპირველად თბილისის მოიცავდა, შემდეგ საქართველოს სხვადასხვა რეგიონები ჩაერთვნენ და დღეს ყველაზე მასშტაბურ ეროვნულ ღონისძიებად იქცა. ხალხში გაფანტული, მივიწყებული ხელოვნების ნიმუშები ისევ ხალხში დაბრუნდეს ახალი სიცოცხლით, ინტერპრეტაციით-ესაა "არტ-გენის" მისია-არ დაიკარგოს, შენარჩუნდეს, სახალხო გახდეს, ის, რაც ჩვენი ქვეყნის, კუთხეების სიამაყე და გენეტიკური სიმდიდრეა.

„არტ-გენი“ ისევ ჩვენთანაა

წელსაც, დიდი იყო მოსახლეობის, მონაწილეობა და სურამში დამსვენებელთა მოლოდინი. ხაშურის მუნიციპალიტეტმა, კულტურის სამსახურმა და "არტ-გენის" ორგანიზატორებმა ქართული ფოლკლორის სახალხო დღესასწაული მოაწვეს ბაიანთხევის ტყეში. ხაშურის, რაჭის, ბორჯომის, გორის, თბილ-



ის ფოლკლორული ჯგუფები, ქართულ, ეროვნულ სამოსში გამოწყობილები, თვალბატულა გოგო-ბიჭები მზეზე მოელვარე უღალი კულულებით, ხმაშეთანხმებულები, ფანდურზე დამღერებებით-ესაა საქართველო, სურამში გაშლილი ქართლი.

დიდიდან მონაწილეობა ფუსფუსი დაიწყო. მათთვის კუთვნილ ადგილას გაშალეს საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაქარგი, ნაპოვნ-გადაკეთებული, სახეშეცვლილი ან სახემციცმული, შვილადქცეული ნახელავი. სამკაულები, ნახატები, თქაზე ნამუშევრები, ფანდურები, სხვადასხვა აქსესუარები, ქართული საბრძოლო ხელოვნების ნიმუშები, ეს მცირე ჩამონათვალია იმისა, რისი ნახვაც და შეძენაც იყო შესაძლებელი. ბავშვების გასართობად ატრაქციონები, ცხენები საგანგებოდ მორთულ-შეკაზმული, ფაეტონები, ნაძვანარში გამოსული ოჯახები, მწვადის



და ცხელი ხაჭაპურის-დამბარი, გაზიარებული ურთიერთობები, ერთი დღით დავიწყებული მცირე ერის პრობლემები-ბაიანთხევის ტყე იყო მასპინძელი ყველაფრის, რაც იყო კავშირი ძველსა და ახალს შორის.

კონცერტი შუადღისთვის დაიწყო და რატიდან ჩამოსულმა ანსამბლმა გახსნა, "რაეო" მეორე წელია ფესტივალის საპატიო სტუმარია. რამდენიმე დასამახსოვრებელი სიმღერის შემდეგ, ანსამბლის ხელმძღვანელმა, დათუნია სხირტლაძემ თავის პარტივისცემაზე და სიყვარულზე ისაუბრა ხაშურის მიმართ. "რაეოს" შემდეგ სცენა უკვე ადგილობრივ შემსრულებელს დაეთმო, ანსამბლე

(დასასრული VI გვერდზე)

(დასასრული)

ლის მოსახლეობა ხშირად მოგმართავთ თხოვნით. არის თუ არა ეს მუნიციპალიტეტის კომპეტენცია?

–სოფლების გაზიფიცირებას ენერგეტიკის სამინისტრო ახორციელებს თავის კონტრაქტორ კომპანიებთან ერთად, რა თქმა უნდა ეს პრობლემა დგას ბევრ სოფელში, თუმცა, წლებიდან წლებამ მუშაობამ შედეგად ის მოგვიტანა, რომ ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მშენებლობა ზეკოტა-ბიჯნისის მიმართულებით 3,5 კმ-იანი ხაზის. წელს მოხდება წრომი-ხცისის გაზიფიცირება, მომავალ წელს უკვე ჩასმულია ტყუერი და მიმდებარე სოფლები, აგრეთვე გომის და აღის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლები. ეს პროცესი მთლიანად საქართველოს მასშტაბით ხორციელდება, საკმაოდ ძვირადღირებული პროექტია და დრო ჭირდება მის განხორციელებას. სავარაუდოდ, ორ წელში მთელი საქართველოს სოფლები გაზიფიცირებული იქნება.

- ვისაუბრეთ გასულ 6 თვეზე, დაწვებულ და დასრულებულ პროექტებზე. დარჩენილ 6 თვეში რას უნდა ველოდოთ?

–დარჩენილი ექვსი თვე უკვე დაწვებული ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება იქნება. რაც შეეხება კულტურულ ღონისძიებებს, ჩვენი მოსახლეობა მათ ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. მოგეხსენებათ, მეორე წელი იმართება ფოლკლორული ფესტივალი "არტ-გენი". მიმდინარეობს ბაღების შენება-რეაბილიტაცია, თანხების მობილიზება ძირითადად მაინც ინფრასტრუქტურაზე, სოციალურ პაკეტებზე ხდება, რაც ჩვენ უფლებამოსადაც შედეგად არის საჭიროება უფრო მეტად დგას მუნიციპალიტეტში. ჩვენ, ჩვენის მხრივ, დროს, ენერჯიას და ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ მოსახლეობამ რეალურად დაინახოს ჩვენი შრომისა და სახელმწიფოს ზრუნვის შედეგი.

- სპორტკომპლექსის მშენებლობა რა ეტაპზეა? მოსახლეობა ასევე დიდი ინტერესით ელოდება სტადიონის რეაბილიტაციას...

–სპორტკომპლექსი ეს არის ორწლიანი გარდამავალი პროექტი და მომავალი წლის ივლისის თვეში უნდა დასრულდეს. გარდა იმ თანხისა, რაცაა ჩადებული, მთლიანად ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის მოწვობა 3 000 000 ლარამდე ჯდება. რაც შეეხება ხაშურის ცენტრალურ სტადიონს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. რამდენიმე დღეში შევუკვეთავთ პროექტს და მომავალ წელს სტადიონიც ახალი იერ-სახით დაუბრუნდება ხაშურს. მონდომება დიდია და ვფიქრობ, რომ გამოგვივა.

- იყო საუბარი ხაშურში ნარჩენების გადამამუშავებელი მძლავრი საწარმოს გახსნაზე, რომელიც რუსეთიდან წამოსული ინვესტიცია იქნებოდა, რა ეტაპზეა მოლაპარაკებები? ინვესტიციების თვალსაზრისით, თუა დაინტერესება ჩვენს მუნიციპალიტეტში?

–რაც შეეხება ინვესტიციებს. იყო საუბარი რუსული ინვესტიციის შემოსვლაზე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის გახსნის თაობაზე, კონსულტაციები გავიარეთ, მუნიციპალიტეტმა თავისი როლი მათთან ურთიერთობაში ამოწურა, მათი მხრიდან იყო საზრუნავი, შესათანხმებელი და გადასაწყვეტი მაღალ ეშვონებში, დღეისათვის ამაზე საუბარი დასრულებულია. სოფლის მეურნეობაში მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ინვესტიციები გაკეთდა,

გიორგი გურასპაშვილი: ვფიქრობ, 2016 წლის სტარტი კარგი გამოვიდა და გაგრძელება უკეთესი იქნება

გაშენდა ბაღები, ბევრი საწარმო გაიხსნა. სახანძროს მიმდებარე ტერიტორიაზე ახლახანს გაიხსნა კაკლის გადამამუშავებელი საწარმო. ხშირად ოპონენტები საუბრობენ ეკონომიკურ უკუსვლაზე, იმ დროს, როდესაც გასამშავებელია კერძო სახლების და სავაჭრო ობიექტების მშენებლობის ნებართვები, რაც ნიშნავს რომ გააქტიურებულია კერძო სექტორი.

- სამ-ოთხ წელიწადში ხაშურს გვერდს აუვლის მთავარი საგზაო მაგისტრალი. ეს ხომ არ იმოქმედებს ადგილობრივ ბიუჯეტზე და მოსახლეობაზე, რადგან მოსახლეობის გარკვეული სეგმენტი თავს ვაჭრობითა და მცირე მეწარმეობით ირჩენს და საგზაო მაგისტრალი მათი მცირე ბიზნესისთვის წარმატების უმთავრესი ფაქტორია?

–რა თქმა უნდა. თუმცა, ჯერ იქამდე 3-4 წელი რჩება, ვიდრე ხაშური ჩიხში მოექცევა და ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს აქვს ის მიმართულება და დინამიკა, რომ

სხვა კუთხითაც განვითარდეს ქვეყანა და ხალხს მიეცეს არსებობის სხვა ალტერნატივა. თუმცა, გარკვეულ სეგმენტზე აუცილებლად იქონიებს გავლენას.

- ტურიზმის განვითარების კუთხით თუ გვაქვს რაიმე პროექტი? მახსოვს, საუბარი იყო ტურისტული მარშრუტების მონიშვნაზე...

–ტურისტული კუთხით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. დაგეგმილია ტრენინგების მოწვობა, კონკრეტული სპეციალისტების გამოყოფაც, რომლებიც ამ მიმართულებით იმუშავებენ. ინფრასტრუქტურის მოწვობაზე და მოწვესრიგებაზე ყოველდღიურად ვზრუნავთ. სურამში მაინც კერძო სექტორის დონეზე განვითარებული ტურიზმი და აქ ინვესტორების ინტერესი უფრო დიდი უნდა იყოს. მარტო სახელმწიფო ვერაფერს გახდება. "არტ-გენის" ფესტივალიც ერთ-გვარად ტურიზმის განვითარებას ემსახურება. გარდა ამისა, გუბერნიის ადმინისტრაციასთან ერთობლივი ღონისძიებები გვაქვს დასახული, რომ შეიქმნას შიდა ქართლის საერთო ბაზა და საექსკურსიო მარშრუტებში შევიდეს ჩვენი მუნიციპალიტეტიც.

- საარჩევნო კამპანიაში თუ ჩაერთვებით?

–მოსახლეობასთან შეხვედრებს, მე, როგორც პოლიტიკურ თანამდებობის პირს, კანონი არ მიკრძალებს, რა თქმა უნდა სახელმწიფო რესურსის გამოყენების გარეშე, ამიტომ, აუცილებლად ვიქნები ჩართული საარჩევნო კამპანიაში. მხარს დაეუჭერ მმართველ გუნდს და აუცილებლად გავიმარჯვებთ.

- და ბოლოს, რადგან ოქტომბრის თვეში საარჩევნო ციებ-ცხელება გველოდება წინ, როდის ჩატარდება ჩვენი ქალაქის დღეები, რომელსაც მოსახლეობა ყოველწლიურად დიდი სიხარულით ელოდება?

–წელს აუცილებლად იქნება ხაშურის დღეები, ცვალებადი ამინდების გამო, სავარაუდოდ, სექტემბრის დასაწყისში ჩატარდება. დედეგაციებს ველოდებით როგორც ვეროპის, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, პოლონეთიდან, ლიტვა, ლატვია, უკრაინიდან, ჩვენი დამოხილებული ქალაქებიდან. იქნება მასშტაბური სახის კონცერტები. ბევრ ჩვენ მეგობარ მომღერალს სურს ჩვენთან სტუმრობა და ეს იქნება სახალხო ზეიმი, რომლის ემოციებიც დიდხანს ემახსოვრება ხაშურს.

თ. ჯავახიშვილი

პატრიკ ტიმესი რამდენიმე თვეა რაც გავიცანი. ის ჩვენს რაიონში მშვიდობის კორპუსის მოხალისეა და ვინც მას იცნობს, დარწმუნებული ვარ, ისეთივე სიმპატიით არის განწყობილი მის მიმართ, როგორც მე. გაცნობის დღიდან სურვილი მქონდა გავსაუბრებოდი და მის შესახებ გაზეიოთ დაამეწერა.

ყოველთვის მაინც ტერესებდა მისი ცხოვრება უდიდესი მეგაპოლისიდან პატარა ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ როგორ შეიცვალა. ბოლოს, გადავწყვიტე ვსტუმრობოდი და ვესტუმრე კიდევ... სამუშაო პროცესში მივუსწარი, – ტაბიძის პარკში კედლის მხატვრობით იყო დაკავებული, რომლის შესახებაც ინტერვიუშიც უფრო ვრცლად ვისაუბრებ. სხვათაშორის, ჩემი ამერიკელებთან ურთიერთობა ამით არ დაწყებულა, ჩემს ბავშობაში, როცა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი მშვიდობის კორპუსის ეგიდით ამერიკელები ჩემს სახლშიც იყვნენ და სწორედ აქედან მახსოვს

ცხოვრება მეგაპოლისის შემდეგ - ნიუ-იორკიდან - ხაშურამდე

ვა იყო ჩემს ცხოვრებაში. მოხალისეობა ჩემთვის ნიშნავდა ახალ შესაძლებლობებს და გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ეს არის საქმე, რომელიც ყოველდღე გაკვირვებული ხარ, რადგანაც შენი საქმით, მცდელობით, ინიციატივებით რაღაც იცვლება შენს გარშემო – ეს მართლაც კარგია. ამ

წლის 15 ივლისს, ასე ვთქვათ, ვამთავრებ ჩემს სამსახურს „მშვიდობის კორპუსთან“,

გავემზადებ ჩემი ამერიკაში და ზაფხულსაც იქ გავატარებ. უკვე ახალი სასწავლო წლიდან დავბრუნდები TLG-ის ეგიდით. ესაა პროგრამა, ასწავლავ და ისწავლავ საქართველოსთან ერთად, რომლის საშუალებითაც ვიმუშავებ რომელიმე სკოლაში ინგლისურის მასწავლებლად.

- პატრიკ, გაგიჭირდა უცხო ქვეყანაში, ახალ გარემოში ადაპტაცია?

– რა თქმა უნდა, ეს ძალიან რთული იყო. პირველად, როდესაც დამიკავშირდნენ მშვიდობის კორპუსიდან, მითხრეს რომ საქართველოში უნდა წავსულიყავი. მოვიძიე გარკვეული ინფორმაცია თქვენს ქვეყანაზე, გავიგე რომ იყო არაჩვეულებრივი ბუნება, სტუმართმოყვარე ხალხი და გადავწყვიტე ეს შანსი გამომეყენებინა. თუმცა, თავდაპირველად გამიჭირდა, იმ მხრივ, რომ მენატრებოდა ჩემი ოჯახი, დედა, მამა და ძმისშვილები, არ ვიცოდი ქართული ენა, ფაქტობრივად, ჩემი ძველი ცხოვრება, ჩემი პროექტები და სამუშაო დავტოვე ნიუ-იორკში და გამოვემართე საქართველოსთან. გამომდინარე იქიდან, რომ არ მყავდა ცოლი და შვილები ეს არჩევანი უფრო ადვილად გააკეთებინდა აღვნიშნო, რომ თავდაპირველი სირთულეების დაძლევაში სწორედ ხაშურელი ხალხი დამეხმარა, ისინი საოცრად თბილები და უშუალონი აღმოჩნდნენ ჩემ მიმართ.

- ვიცი, რომ ინგლისურ ენას ასწავლი ჩვენ ბიბლიოთეკაში ბავშვებს? ეს შენი ძირითადი პროფესიაა?

– არა, პროფესიით გრაფიკოს-დიზაინერი ვარ. 12 წელია რაც ამ პროფესიით ვმუშაობ და ამერიკაშიც, ძირითადად ამ სფეროში ვსაქმიანობდი. თუმცა, მაქვს მაგისტრის ხარისხი ინგლისურ ენაში და გადავწყვიტე ამ კუთხით გამეგრძელებინა მუშაობა, ვფიქრობ, უფრო ადვილია ადამიანს ასწავლო უცხო ენა, ვიდრე ხელოვნება.

დაახ, ვასწავლი სხვადასხვა კატეგორიის ასაკის ბავშვებს: 7-დან 9წლამდე და 12დან 16 წლამდე. მაქვს სალაპარაკო და გრამატიკული კლასები. გარდა ბავშვებისა, გააკეთებულს ვუტარებ ჩემ კოლეგებსაც – ბიბლიოთეკის თანამშრომლებს.

- უკვე 2 წელია ხაშურში ხარ, როგორ დაახასიათებდი ქართველ ხალხს?



– კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ არიან საოცრად თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი. ყველაზე მეტად რაც მსიბლავს მათში, ეს ერთმანეთთან დამოკიდებულებაა, აქ ყველა ერთმანეთს იცნობს ყველა ერთმანეთს ესალმება. ვყოფილვარ გორში, თბილისში, ბათუმში, მაგრამ ისინი ასეთი თბილები არ არიან, როგორც ხაშურლები. ვიყავი სვანეთში, ყაზბეგში, მართლაც საოცარი ბუნება გვაქვს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ხაშური უფრო ახლობელი აღმოჩნდა. მე თავად პატარა ქალაქ ბოლდვინში გავიზარდე მოსახლეობა 25 ათასს ითვლის, ამიტომაც ხაშურის სიმკვდრე უფრო მისაღები აღმოჩნდა. ბოლო რამდენიმე წელია ნიუ-იორკში ვცხოვრობდი და ხაშურიც, ხმაურიანი მეგაპოლისის შემდეგ, ნამდვილად რელაქსაცია იყო ჩემთვის.

- მომიყვი შენ მასპინძელ ოჯახზე, სადაც ამჟამად ცხოვრობ?

– ვცხოვრობ ალექო ჯოჯიშვილის ოჯახში. საოცრად თავაზიანი, ყურადღებიანი და სტუმართმოყ



ეს საოცარი ხალხი – თავისუფალნი, უშუალონი, ხალისიანები. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მარტო „ჰელოუს“ თქმას ვახერხებდი, მაინც სიამაყის გრძნობით მავსებდა მათთან ეს მცირედი კომუნიკაცია. პატრიკის ახლოს გაცნობის შემდეგ კი ისევე იგივე გრძნობა დამეუფლა, სხვა მენტალიტეტთან კვლავ ზიარების.

პატრიკ ტიმესი: 2014 წლის აპრილიდან ვცხოვრობ და ვმუშაობ ხაშურში. ვარ მშვიდობის კორპუსის მოხალისე და ვფიქრობ, ეს დიდი გამოწვევა

არასდროს დამაიწყებელი ემოცია, რომელიც სამსახურში მისულს დამხვდა-ბატონმა გოგიმ ფურცელი გამომიწოდა, თავისი გაკრული ხელით მიწერილი ტელეფონის ნომრებით, ტრიოა, შეხვდი და გაესაუბრეო. საოცრად მღეროდა, ისე კიარა, ყველგან, ყველა სუფრასთან რომ მოისმენ, თვითონ დარწმუნდებით და ჯერ ისევ გაურკვეველი ემოციის ქვეშ მყოფი, ჩემთვის უცნობი, ბევრისთვის უკვე საყვარელი ქალთა უსახელო ტრიოს გასაცნობად და მოსასმენად გამოიშვა.

ბუნებაში ძნელია იპოვო შენი მეორე, მესამე... სურვილები, ემოციები შეათანხმო, შეუსაბამო, ხმები, ფერები დააკონტროლო, ხშირად და სინათლე მისცე, მერე სიცოცხლე აჩუქო, ერთ არსებულ შეკრა და ასე, ანგელოზებულად აფრინო ცაში-ადამიანების ბედნიერების მომტან ანგელოზებად-გონების და სულის ყურს რომ აჯადოვებენ და

ლონისძიებებსა და კონცერტებზე, მაგრამ რომ ვიქვით, რომ ამაში განსაკუთრებული შრომა გვაქვს ჩადებული, როგორც ტრიოს, არ იქნებოდა მართალი. ქალბატონი ნანი გაჩეხილაძის ვარსკვლავის გახსნაზე ვიმდგურეთ ჩვენი ტრიოს წევრის თეა ინასარიძის სიმღერა, შემდეგ ლიანა ტატიშვილის სიმღერა. ყოველდღიური შრომა, რასაც მოითხოვს

უსახელო ტრიო, რომელმაც დაიპყრო

ხაშური

ტრიო, ნამდვილა არ გვაქვს, ესაა კონცერტიდან კონცერტამდე მომზადებული სიმღერა. მეგობრები ვართ, ხშირად ვიკრიბებით დღესასწაულებზე ერთმანეთთან და ვმღერით.

ნინო ახალკაცი:

- მთელი ჩემი ბავშვობა მუსიკასთან, ლიანა ტატიშვილთანაა დაკავშირებული, შემავარა სიმღერა. როცა მუსიკალურში დავიწვე მუშაობა, ხათუნაც მოვიდა და უკვე დუეტი შედგა. რამდენიმე ხნის შემდეგ თეაც შემოგვიერთდა. ძირითადად დუეტი ვიყავით, თეას მოსვლამ შეკრა ტრიო. ძალიან ნიჭიერი, კარგი კომპოზიტორი, მაგრამ ძალიან თავმდაბალი და თვითონ ამაზე ხმა მალდა არასდროს საუბრობს.

- ვის სიმღერებს მღერით?

ხათუნა ღვალაძე:

- ხაშურში ბევრი პოეტი გვყავს, მათ ლექსებზე იქმნება სიმღერები: ციცილო ბურნაძე, მურად მთვარელიძე, მანანა დანგაძე, გიორგი მეტრეველი, ციური ინასარიძე, ლალი ჯაფარაშვილი-ის პოეტები არიან, ვის ტექსტზე შექმნილი სიმღერებიც ავსებს ჩვენს რეპერტუარს. მათ ტექსტებზე ქალბატონი ლიანა ქმნის სიმღერებს, თეა წერს არაჩვეულებრივად, უბრალოდ ძალიან თავმდაბალია და ამაზე ხმა მალდა საუბარი არ უყვარს. ვასრულებთ ლილიკო ნემსაძის სიმღერებს. ძალიან ბევრი სიმღერა გვაქვს ნამღერი. ახლა რომ გადავხედო, თითქმის ყველა ცნობილი კომპოზიტორის სიმღერა გვაქვს შესრულებული.

ნინო ახალკაცი:

- პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ ნებისმიერი საქმის საწყისი სიყვარულია. ჩვენ ეს ნამდვილად გვაქვს, საქმის და ერთმანეთის სიყვარული, რაც გვაერთიანებს. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია მუსიკალური გემოვნება, გვიჩვენებია ტუნდაც მხოლოდ 100 ადამიანი გვეყვავს მსმენელი და გემოვნებიანი, ვიდრე ჩვენ მაინც კლასიკოსები ვართ, ვთვლი, რომ რასაც ჩვენ ვმღერით, ეს ნამდვილად არის გემოვნებიანი მუსიკა.

- გარდა ხაშურისა, სხვა ქალაქშიც თუ გჭონით გამოსვლა?

- ლიანა ტატიშვილის შემოქმედებით სადამოხე .თბილისის შემოქმედების სახლში ვიყავით, ძალიან დიდი მოწონება დავიმსახურეთ. კონცერტიდან კონცერტამდე ვართ ძირითადად. როგორც პედაგოგები სულ ჩართული ვართ ჩვენ საქმეში, მოსწავლეები დაგვყავს კონკურსზე, იქ სტუდია, გამოცდები და ვერ ვიცდით ტრიოსთვის.

- თქვენი მსმენელი დამეთანხმება, რომ ასეთი ხმების მოძებნა, ასე სიმღერა ადვილი არაა, არ გიფიქრიათ, სხვა მასშტაბებზე გასვლა?

ხათუნა ღვალაძე:

- სხვათაშორის, ლიანა სულ გვეუბნება, რომ არ უნდა დაიკარგოს ჩვენი ხმები. შიდა წრეებში ყოველთვის გვიცნობენ, გვიწვევენ. ახლაც ლიანამ მიგვიწვია თავის სადამოხე, მგონი უკმაყოფილო არ დარჩენილა მსმენელი. ხომ გუბნებით, ვერ მოვი-

ცალეთ იმისთვის, რომ სერიოზულად დავხედოთ და დაგვავდეთ ამ საქმით. ხელს ინსტრუმენტის უქონლობაც გვიშლის გარკვეულწილად. ლილიკო ნემსაძე სულ გვეუბნება, რომ საქართველოშიც ბევრი არაა ჩვენნაირი ტრიო, ჩვენ კი ამდენი წლის არსებობის მანძილზე, სახელიც კი არ გვაქვს.

თეა ინასარიძე:

- თქვენს წინაშე რომ დუეტი, ესაა უნიკალური, როგორც დუეტი, მე ჩემი ჩემი და მოკრძალებული მეორე ხმით ვეხმარები მათ. მოფრთხილება და მოფერება უნდათ ჩემს გოგოებს, რომ დიდხანს ვღერდნენ და გვატყობდნენ.

- სამომავლოდ რაიმე გეგმა ხო არ გაქვთ, რაც თქვენს მსმენელს გაახარებს?

- თქვენთვის ან სექტემბრის ბოლოს ვეგეგმავთ მსმენელის წინაშე წარვსდგეთ როგორც ტრიო, ვიმღერებთ 20-მდე სიმღერას. ძალიან მინდა, ეს იყოს შერეული ხასიათის კონცერტი. ქალბატონი ლიანას თეას, მზიურის, მაია ჯაბუას, მაცაცო სებისკვერძის სიმღერები. ბევრი პოპური გვაქვს გაკეთებული და ის, რაც აქამდე დროის სიმცირის გამო ვერ გავაკეთეთ, ერთიანად შევეკრავთ და ვახვენებთ მსმენელს.

საუბრის დასრულების შემდეგ, გავკადნიერდი სიმღერის შესრულება ვთხოვე, მინდოდა მეც ვუ-



სხვა სამყაროში გადაყავთ... სამი ქალბატონი გავიცანი, მელოდნენ. შეკრულან, შეთანხმებულან, შეხმიანებულან-სიყვარულს და მეგობრობას თავისი უღერადობა შეუტანია მათ ურთიერთობასა და პროფესიაში. დრო არ აქვთ, არც ამბიცია-ეს მათ ტრიოს უსახელობაზეც ატყვია. 20 წლის წინ იპოვეს ერთმანეთი, მოდიან, მეგობრობენ, ყველგან მუსიკაა, სიმღერაა, სახლშიც, სამსახურშიც. ბევრი შექმნა ახსოვთ, თბილი სიტყვები, მაინც ვერ მოიცადეს სერიოზულად მიეხედათ საქმისთვის, რომელიც სულიერ სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს. შემოდგომით დაგპატივებთ ჩვენს კონცერტზე, სპონტანურად გადაწყვიტა ქალბატონმა ხათუნამ- რეპერტუარში იმდენი სიმღერაა, ერთი კონცერტი როგორ არ გამოვა, ერთი სიამოვნება არ უნდა მოაკლდეს ხაშურს.

ხათუნა ღვალაძე:

- თითქმის 20 წელია ვასწავლით სამუსიკო სკოლაში, პიანისტები ვართ, მაგრამ სამივეს გვაქვს სცენაზე დგომის გამოცდილება ბავშვობიდან. ეტაპობრივად ვიკრიბებოდით და ვმღეროდით სხვადასხვა

ოფიციური იმის მონაწილე, რაც ასე აბედნიერებდა მათ მსმენელს. გავბედნიერდი! არ შეიძლება მღეროდე ასე და იდგე შენთვის, უამბიცოდ-კუთხეში დგომა დანაშაულია ერის და ჩვენი ქალაქის წინაშე-ქალაქის, რომელსაც უყვარხარ. დავპირდი, რომ ბატონი გოგი, ტრიოს სახელის ნათლია იქნებოდა.

თ. ჭავჭავაძის

რედაქტორის მინაწერი: „აღფრთოვანება“ არაა ზუსტი შესატყვისი, რაც ამ ტრიოს პირველი მოსმენისას მივიღე. საოცარი ჰარმონიაა მათი თითოეული მუსიკალური ბგერა და შეუძლებელია ნებისმიერი მსმენელი გულგრილი დატოვოს. რაც შეეხება სახელს, არ გვინდა, რომ ეს სახელი ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ვინმემ. და რადგან ტრიოს ნებართვაცაა, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ტრიო მთელი ქალაქის კუთვნილებაა, მოდით ყველამ მივიღოთ მონაწილეობა, ყველა ერთად ვიყოთ მისი ნათლია და ათეულობით სახელიდან, რომელსაც დიდი იმედი გვაქვს, ჩვენი მკითხველი მოგვაწვდის, საუკეთესო ერთად შევარჩიოთ.

(დასასრული)



ასე არ გამოვიდა, ის ქალაქის ცენტრთან ახლოსაა და ფასადი ერთის მხრივ შეიცვლებოდა, ასე რომ გადაწყვიტე პარკის ტერიტორიაზე ეს კედელი მომე-

ვარე ოჯახია. ყველაზე მეტად ის მათებს, რომ ალექოს და ინგას თითქმის ყველა იცნობს. ერთხელ დავიკარგე, არ ვიცი სად წავიდე, უცხო ქალაქია და გამგელეს ვეკითხები, იცით სად ცხოვრობენ ინგა და ალექო ჯოჯოშვილები? ისიც მეუბნება, რომ რა თქმა უნდა, აუცილებლად მიგიყვანო. აი, სწორედ ეს მომწონს თქვენში საოცარი - სიახლოვე ერთმანეთთან და გულისხმიერება.

- რაც შეეხება ამ კედლის მხატვრობას, ვიცი, რომ იდეა შენ გეკუთვნის?

- კი, ნამდვილად ასეა. თავდაპირველად ვაპირებდი საბავშვო ბიბლიოთეკის კედელი მომეხატა, თუმცა

აბა. ვიფიქრე, რომ ჩვენი რაიონის ბავშვები ნამდვილად იმსახურებდნენ რაიმე ლამაზისთვის ყურებიანთ და მეც ცოტაოდენი სიფერადე შევიტანე ქალაქის გალამაზებაში. საერთოდ, ვისურვებდი, გაკეთებულიყო ტენისის კორტები ან საცურაო აუზი, თუმცა, ყოველივე ეს დიდი თანხებთანაა დაკავშირებული. ასე რომ მეც ის საქმე ავირჩიე, რაც ძვირი არ ღირს.

- გარდა იმის, რომ ასწავლი ინგლისურს, კიდევ რა აქტივობებით ხარ დაკავებული ხაშურში?

- ხშირად დავრბივარ ხოლმე. კარგი ბუნებაა თქვენთან და ხანდახან ტყეშიც ავდივარ სასეირნოდ, როგორც ადენიშენე გხატავ ბოლო ხანებია. ვიყავი ველოსპორტითაც გატაცებული, თუმცა ამჟამად ვეღარ ვახერხებ.

- და ბოლოს, მოგვიყვი შენი სამომავლო გეგმების შესახებ? აპირებ რომ დარჩე ხაშურში საცხოვრებლად?

- მომავალი წლიდან ახალი გამოცდილება იქნება ჩემთვის სკოლის მასწავლებლობა, ვნერვიულობ ამაზე, ძალიან საპასუხისმგებლოა. ჩემი მიზანი ის იქნება, რომ ვიყო საუკეთესო მასწავლებლები და ჩემი მაქსიმუმი გავაკეთო. არ ვიცი, წინასწარ როგორ იქნება, მაგრამ შესაძლოა, ვიყავი ბინა ხაშურში, რადგანაც ვთვლი, რომ ხაშური ჩემს მეორე სახლად იქცა. და ჩემი მასპინძელი ჯოჯოშვილების ოჯახი ჩემი მეორე ოჯახი გახდა, ვფიქრობ, მათ გარეშე ნამდვილად გამიჭირდება.

თ. ახალკაცი

რამდენიმე დღის უკან, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკაში, გაიმართა შეხვედრა ვაჟა ფშაველას შთამომავალ ლელა რაზიკაშვილთან და გამომცემლობა „წიგნიერის“ ხელმძღვანელთან მზია რაზმაძესთან. შეხვედრის უმთავრესი მიზეზი „წიგნიერის“ მიერ გამოცემული ვაჟა ფშაველას მოთხრობები იყო, რომლის ილუსტრირებაც თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ და ნიჭიერ მხატვარს რუსუ-

გამომცემლობა „წიგნიერის“ წიგნების პრეზენტაცია საჯარო ბიბლიოთეკაში

დან ფეტვიაშვილს ეკუთვნის. წიგნში მოთხრობები შესულია ქართულ და ინგლისურ ენაზე. თარგმანი კი ეკუთვნით ასევე ცნობილ მთარგმნელებს: ლალი ჯოხაძეს, ირინა პეტროვას და ლეილა გამსახურდიას. კიდევ ერთხელ გაიჟღერა ფრაზამ, რომ ვაჟას შემოქმედება საკაცობრიო აზრის უმაღლესი სტანდარტია. ქალბატონმა ლეილამ აღნიშნა კიდევც, რომ ერთი ფშაველი კაცი XIX საუკუნეში უკვე აზროვნებდა ისე, რისი გაგება-გააზრება მთელ კაცობრიობას ორ მსოფლიო ომად დაუჯდა. ვაჟა არის თვითმყოფადი, კონსმოპოლიტი, რომლის შემოქმედებაც ანგრევს ყველა საზღვარს – ის უნივერსალურია... ამასთან, ქალბატონმა მზია რაზმაძემ დამსწრე საზოგადოებს გააცნო

და ბერნის კონვენციის დანართებშია შეტანილი, კერძოდ, ქართული რუხი ფუტკარი, აბრეშუმის ჭია, საგემოვნო თვისებებით გაორჩეული თევზები და სხვა. სხვათაშორის, ბერძენი ისტორიკოსის, ქსენოფონტეს მიხედვით, საქართველოში მეფუტკრეობას ჯერ კიდევ ძვ.წდ, V-IV საუკუნეებში მიხედვდნენ. მთის რუხი ფუტკარი, ყველა სხვა ჯიშის ფუტკართან შედარებით, ნაკლები აგრესიულობით, შრომისმოყვარეობით და ყველაზე გრძელი ხორტუმით გამოირჩევა. ამ და სხვა საინტერესო თემებს სწორედ მეორე ტომში იხილავთ. საქართველოს ფლორას გაგაცნობთ მესამე წიგნი. მათ ბიო-ეკოლოგიურ თვისებურებებს, ზრდის დინამიკას, ხელოვნური მოშენების ტექნოლოგიებს, მათი გადარჩენისათვის გადადგმულ ნაბი-

ჯებს და სხვა. მეოთხე წიგნში მომოხილულია საქართველოს მთაბარი, დაცული ტერიტორიები და ქართული სიმბოლიკა. მე-5 ტომი ეთმობა საქართველოს გეოლოგიურ აგებულებას. აქ შეხვდებით ისეთ საინტერესო თემებს როგორებიცაა ნამარხი ფლორა და ფაუნა, რა ქვეებით შენდებოდა საქართველო და სხვა. მომდევნო ტომში განხილულია ქართული ეროვნული სამოსი, გამოყენებითი ხელოვნება, ხალხური ცეკვა და მუსიკა.



„წიგნიერის“ მიერ გამოცემული უნიკალური მრავალტომეული „ჩვენი ღირსებანი“, რომელიც უკვე 9 ტომს მოიცავს. ეს ტომეულებიც ორენოვანია, ქართულ-ინგლისური და ქართველი ერის სულიერი და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენას ემსახურება. ჩემდა სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ამ მრავალტომეულის შესახებ აქამდე არც გამოგია, არადა ეს ტომეულები, გარდა იმისა, რომ ნამდვილ, ეროვნულ საგანძურს აერთიანებს, ქართველობის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილს და შემონახულს, არამედ თითოეული მათგანიც ერთგვარი საგანძურია, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ნებისმიერ ოჯახში.

გამომცემაში მრავალადაა დიდი გემოვნებით შერჩეული უღამახესი, განუმეორებელი ილუსტრაციები, რომლებსაც სხვაგან იშვიათად შეხვდებით. წიგნში მოცემული მრავალმხრივი და მართლაც მარცვალ-მარცვალ აკრეფილი უნიკალური ცოდნა ნამდვილად დააინტერესებს ფართო საზოგადოებას.

ამ მრავალტომეულის უნიკალურობამ მართლაც რომ გამოცა და მოკლედ მოგიხრობთ მის შესახებ. პირველი ტომი საქართველოში დაბრძანებულ სიწმინდეებს, ქართული ვახსა და ხორბლის ჯიშებს გააცნობს მკითხველს. მეორე წიგნში წარმოდგენილია ჩვენი ფაუნა, რელიქტური, ენდემური ჯიშები, რომელთა უმეტესობა საქართველოს წითელ ნუსხასა

ძველი ქართული სპორტული თამაშები. მე-7 ტომი ქართულ ხუროთმოძღვრებას და სახვით ხელოვნებას გაგაცნობთ უძველესი დროიდან დღემდე. „ჩვენი ღირსებანი“ მერვე ტომში წარმოდგენილია მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის სხვადასხვა დარგი, როგორებიცაა საეკლესიო გალობა, თეატრი, მუსიკა. ბოლო, მეცხრე ტომი, ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერი წიგნების: კარაბადინის, ხოჯაყოფილის სააქიმოს, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნის, დავით ბაგრატიონ იადიგარ დაუდის მონაცემებს და დაახლოებით ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოძიებულ ეთნოგრაფიული მასალებს აერთიანებს. აქ შეხვდებით ქართველი ხალხის სამედიცინო აზროვნებასა და უნიკალურ სამკურნალო მონაცემებს.

დასასრულს, დამსწრეთათვის ნაჩვენები იქნა ვაჟა ფშაველას ბიოგრაფიული ფილმი.

შეხვედრა მართლაც რომ საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა. პირველ რიგში, მადლობა ბიბლიოთეკას, რომელიც ყოველთვის ძალიან აქტიურია და ხშირად გვანებიერებს საინტერესო სტუმრებითა და შეხვედრებით.

თ. ახალკაცი

დავით ლურსმანაშვილი – სამოქალაქო ოლიმპიადის გამარჯვებული

ხაშურის 9-ე საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლემ დავით ლურსმანაშვილმა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ სამოქალაქო ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა, სადაც საქართველოს მასშტაბით 27-ათასი მოსწავლე მონაწილეობდა. კონკურსი ჩატარდა სამ ტურად. მან სამივე ტური წარმატებით გადალახა 150 ქულიდან 145 ქულა დააგროვა, რის გამოც მოხვდა მეორე ოცეულში.

ქ. თბილისში, გამოცდების ეროვნულ ცენტრში, გაიმართა დაჯილდოება, სადაც გამარჯვებულ მოსწავლეებს გადასცეს საჩუქრები და სერთიფიკატები გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა მია მიმინოშვილმა და „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა.

პროექტის ფარგლებში დავით ლურსმანაშვილს წილად ხვდა დასვენება ბორჯომში „ეკო“ ბანაკში. დავითს მრავალჯის უსახელებია ჩვენი სკოლა თავისი ცოდნით. იყო გამაჯვებული ფლექსის ოლიმპიადაში, სადაც მოიპოვა ერთი წლის სწავლის უფლება ამერიკაში. წელს ის აბიტურიენტიცაა, აბარებს საერ-

თაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. გვჯერა დავითი აქაც გვახსნის, ვუსურვებთ წარმატებებს.

ნინო შალიაშვილი,
9-ე საჯარო სკოლის სამოქალაქო
განათლების პედაგოგი



წარმატებული პროექტი

სოფელ ვაყის საჯარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო პროექტ „პარმონის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომლის მიზანია სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა. პროექტს ხელმძღვანელობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ბილიკი“.

პროექტი „ჯანსაღი სხეული-ჯანსაღი სული“ დაწერა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა მია მაჭარაშვილმა და ითვალისწინებს სკოლის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის მშენებლობას. პროექტის ფარგლებში სკოლამ მიიღო თანადაფინანსება 450 დოლარის ექვივალენტი ლარში. მშენებლობა უკვე დასრულებულია, დამონტაჟებულია ტრენაჟორები, სადაც აქტიურად ვარჯიშობს სოფლის ახალგაზრდობა. მოეწყო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, კერძოდ, კალათბურთში, მინიფეხბურთში, ფრენბურთში.



24 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის, კულტურის ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით და ორგანიზებით, ხაშურის სკოლის დარბაზში, კომპოზიტორ ლიანა ტატიშვილის და ანსამბლ "ცხრამუხის" შემოქმედებითი საღამო გაიმართა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ანსამბლი "ორერა", მომღერალი ირმა სოხაძე, გიტარისტი თემურ ყვითელაშვილი, კომპოზიტორები: მარიკა კვალიაშვილი და ოთარ ტატიშვილი, ნანული აბესაძე, მზია დავითაშვილი და მერაბ ჭკადუა, პოეტები: ნანა ცინცაძე და მანანა დანგაძე, ასევე კულტურის სფეროს ცნობადი სახეები და მისი ხელოვნების თაყვანისმცემლები, საზეიმო დღე ამადღებელი ჟღერდა. ლიანა ტატიშვილის ვარსკვლავის გახსნით დაგვირგვინდა.

ზეიმობდა ყველა, ვინც იცნობს ამ ქალბატონს, რომლის სახელიც უკვე ოქროს ასობად იქცა და რომელმაც ხაშურს მისცა მშფოთვარე სულის სიმბოლოდ ქცეული კოლორიტის – საზოგადო მოღვაწის, დამსახურებული მასწავლებლის, კომპოზიტორის ლიანა ტატიშვილის ვარსკვლავი.

იგი ხიბლავს ყველას თავის უშუალოდ, სიმართლით და თავისუფლებით, რაც ასე ამკობს მას და უზარმაზარი სიყვარულის შარავანდედს ადგამს. ხაშურის კულტურული ცხოვრება წარმოუდგენელია მისი ხმაურიანი ნაბიჯების გარეშე. საოცარი იუმორი, უკიდურესი ნიჭიერება და ურთიერთობების ოსტატობაა მისი შარმის შლეიფი.

ისეთი განზომილება, როგორც არის დრო, უკან იხევს, როდესაც სიტყვა ეძლევა ხელოვანს. მით უფრო ლიანა ტატიშვილს. ეს ჯადოსნობაა – ირგვლივ დაძაბული სინამდვილე და ლამის სინათლე აქცენტს აკეთებს იმ ერთადერთს, ვინც

რომელსაც ჭეშმარიტი არტისტის მომხიბვლელობა, ექსცენტურობა და ამბიცია ახასიათებს. თვალს ვერ წყვეტ და ელი რომ ახლა სპექტაკლი გათამაშდება. ის ოდნავ დელაფს გულწრფელობის ფორიაქით.

ქალბატონი, რომელიც მთელ ქალაქს უყვარს

და მართლაც იწყება ფეიერვერკი, ბობოქარი, მშფოთვარე წარმოდგენა და სუნთქვაშეკრული მსმენელი უნებურად ხდება მონაწილე ამ იმპროვიზაციის და გელიძეობა, მთელი გულით გელიძეობა, რადგან ის ხომ ისევ ისეთია, რო-

გულიანის მისიით, ენთუზიაზმით და საქმის ერთგულებით 1972 წლიდან დღემდე მუშაობს ქ. ხაშურის №9 საჯარო სკოლაში, სადაც წარუმატებელი წელი არ ჰქონია. აქ, 2011 წლის 11 ივნისს გაიხსნა მისი სახელობის ჩირაღდანი და მადლიერმა აღსაზრდელებმა და კოლეგებმა სკოლის ისტორიად აქციეს მისდამი უდიდესი სიყვარული და მოწიწება.

სამყაროს გვირგვინს, ხელოვნების უზენაესობას აღიარებს მუდამ -აკონტროლებს მოსწავლეთა მუსიკალურ მისწრაფებებს საუკეთესო მრჩეველია და დაუვიწყარია მასთან გატარებული წუთები. 1978 წელს იქმნება ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „დისკანტი“, რომელიც წარმატებულად გამოდის ყოველკვირეულ ფესტივალში „მუსიკის კვრეული“ კომპოზიტორ მერი დავითაშვილის ორგანიზებით. ანსამბლი გამოდის თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზებში, ოპერის თეატრში. და სხვა. 1991 წელს ანსამბლი „დისკანტს“ ცვლის ანსამბლი „ცხრამუხა“, რომელსაც წელს 25 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ ანსამბლის ყველა თაობის წარმომადგენელს, რომლის სახელის წარმატებაც და წამატების ხანგრძლივობაც, წლების მანძილზე ქალბატონ ლიანა ტატიშვილთან არის დაკავშირებული. ვულოცავთ ქალბატონ ლიანას! დაე, გაგრძელდეს და გაიზარდოს თქვენი აღსაზრდელების რიგი. მუდამ ქროდეს მუხათა ქარი თქვენს სიახლოვეს და გააფერადეთ სამყარო საოცარი მელოდებით, იდილინოს ქართლის გულმა სასიმღერო ჩუქურთმებით კვირაცხოველის საგა-



ლობელი. მრავალქამიერ!

ინგა ხრიკაძე

ვორც ყველას ბავშვობაში აქცენტრებული რითმით, ჯაზური იმპროვიზაციებით, მრავალხმიანი აკორდებით და კრიტიკული გამოხედვით გვახსოვს. ლიანა ტატიშვილი თვით მუსიკაა ფერადი და ლაღი, თავისუფალი და მართალი, მკაცრი და მომთხონიც. მუდამ მაღალი მუსიკალური გემოვნებით და ინტელექტით გამორჩეულს, საოცარია როგორ იტყვს ჩვეულებრივი ქუჩები, ჩვეულებრივი სცენები. ანსამბლის „ცხრამუხა“, ხელმძღვანელი, კომპოზიტორი, იმპროვიზატორი, ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოს მფლობელი, ხელოვნების დამსახურებული მუშაკი, ფესტივალების და კონკურსების მრავალჯერ ლაურეატი ლიანა ტატიშვილი. დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის №1 საშუალო სასწავლებელი მისი პედაგოგები იყვნენ. ცნობილი პროფესორები და კომპოზიტორები - საოცარი პლეადა - შალვა მშველიძე, არჩილ ჩიბაკაძე, სულხან ცინცაძე, ირაკლი გეჯაძე, ლია ხუგაშვილი, მანანა ახმეტელი.

მის გვერდით იქმნება ბრწყინვალე სამეგობრო წრე, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები მანანა მენაბდე, სოსო ტულუში, ი. პეგუნერი, ჯილდა დათუაშვილი, ე. კაკულია, „ორერა“.

ხაშურში დაბრუნების შემდეგ მუშაობს ხაშურის რაიონის სხვადასხვა სკოლებში, სადაც არჩევს ნიჭიერ ბავშვებს და ქმნის 500 ბავშვიან გაერთიანებულ გუნდს, რომელსაც წლების მანძილზე მასპინძლობს საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს. ატარებს მასტერ კლასებს და ღია გაკვეთილებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების სიმღერის მასწავლებლების წინაშე და ჯილდოვდება საპატიო მასწავლებლის წოდებით. დიდი სამოღვაწეო საქმიანობის გვერდით 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა ლენინგრადის კრუპსკაიას სახელობის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

1967 წლიდან მუშაობს ხაშურის ცენტრალურ საშუალო სკოლაში და ხდება ამ დიდი ტრადიციების მატარებელი სკოლის სახე, მისი იდეალების გამტარებელი.



„არტ-გენი“ ისევ ჩვენთანაა

(დასასრული VI გვერდზე)

ბი "ქართლი", "ციციანთელა", "გორი", "ცხრაშუხა", "დიოხი", ბორჯომის ქალთა გუნდი "მზეშინა", ინდივიდუალური შემსრულებლები-რომლებიც სხვადასხვა ღონისძიებებს აღამაზებენ და ახარებენ ხაშურს. ყველაზე ამდღებულ მომენტად ისევ ქართულთან, ჩვენი ხასიათის გამოძახილთან შეხვედრა იყო, როდესაც "შაფაროსნება" საბრძოლო ხელოვნება ხალხისთვის საჩვენებელ სანახაობად აქციეს. კონცერტის დასკვნითი აკორდი ჯგუფმა "ფრანმა" სოლო კონცერტით აქცია მელოდიად, რომელიც სასიამოვნოდ და გაბმულად იქდურებს მომავალი წლის "არტ-გენად".

ეროვნულ ფესტივალს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელიც დაესწრნენ. "არტ-გენი" ხალხთა ერთიანობის, სიახლოვის გამოძახილია, რომელიც არ სცნობს სოციალურ სტატუსებს, აქ ყველა ქართველია, ქართული გენის მატარებელი, უყვართ და მეგობრობენ ქართულად.



იოსებ ოქრომელიძე (შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მოვალეობის შემსრულებელი):
- "არტ-გენის" ფესტივალს გარდა იმისა, რომ ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე, დამსვენებლებისათვის და სურამის მოსახლეობისათვის განტიერთვის და დასვენების ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბების კუთხითაც და ამაში რომ მუნიციპალიტეტი მონაწილეობს, ორმაგად სასიხარულო და მისასალმებელია.



გიორგი გურასპაშვილი (მუნიციპალიტეტის გამგებელი):
- ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის დიდი პატივია ვსტუმრობდეთ ისეთ მნიშვნელოვან ეროვნულ ფესტივალს, როგორც "არტ-გენი". ორი წელია ხაშურისა და სურამის მოსახლეობა მონაწილეა ნამდვილი სახალხო ზემის, რომელიც ერთნაირად აერთიანებს ყველა კუთხისა და ასაკის ადამიანებს.



ბონდო ჩადუნელი ("არტ-გენის" მონაწილე):- მორე წელია ამ ფესტივალში ვიდე მონაწილეობას, ჩემი ოჯახით ვარ მოსული. მიყვარს ყველაფერი, რაც საქართველოსთან და ჩემ სურამთანაა დაკავშირებული. ვაგრძელებ ძველ საბრძოლო და შრომის იარაღებს, სასმისებს, სამოსს. ჩემი მცირე მონაპოვარი გამოვიტანე დღეს. დიდი ინტერესია ახალგაზრდების მხრიდან, ათვალთვლებენ, ირგებენ, მეკითხებიან. ასეთი ფესტივალის არსებობა ჩვენისთანა ისტორიის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კი არა, აუცილებელია. ფერეიდნელი ქართველების ოჯახი ჩამოვიდა სპეციალურად დღევანდელი დღისთვის, ხარობენ საქართველოში ჩამოსვლით.

მარიტა ბიბლაია (შაფაროსნები დაარსების დღიდან თანამშრომლობენ "არტ-გენის" ფესტივალთან, ყველა რეგიონში დაყვებიან, ორი დღის წინ ბოლნისში ვიყავით გახსნაზე. ჩვენი კულტურის გადარჩენისთვის, პოპულარიზაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ღონისძიებების არსებობა, მითუმეტეს რეგიონებში, რათა არ დაიკარგოს ის, რაც ხალხშია გაფანტული და მოვლას საჭიროებს

იზა მეხრიშვილი (ხელოვნების მასწავლებელი, სურამის IV საჯარო სკოლა): ჩვენი სკოლა წელს პირველად იღებს მონაწილეობას, გამოვიტანეთ ნიღბები, ნახატები, თიხით ნამუშევრები, აქსესუარები, დეკორატიული კვერცხები. ბედნიერი ვარ, რომ ამ პროფესიის მასწავლებლები ვარ და შეგვიძლია ძველ ნივთებს ახალი სიცოცხლე დაუბრუნოთ. დიდი მადლობა "არტ-გენს" და მის დამფუძნებელს ზაზა კორინთელს, რომ ამ ფორმით ცდილობს ჩვენი კულტურის გადარჩენას. გიორგი გობეჯიშვილი (სცენის პროგრამისტი):- "არტ-გენი" ყველა რეგიონში



ამართლებს, რადგან ესაა ადამიანების სულის გამოძახილი და ზემი. რაც შეეხება სურამს, ფაქტია გაამართლა, რადგან მორე წელია უკვე აქაა. მონაწილეები იგივე ფოლკლორული ჯგუფებია, რადგან დღეისათვის ისინი არიან მოქმედნი. დასკვნითი ნაწილი თბილისში 10-17 ივლისს, ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართება, რომელიც შემაჯამებელი იქნება წლევეანდელი "არტ-გენის" ფესტივალის.



ასე ემოციურად, სნახაობრივად დასრულდა წლევეანდელი "არტ-გენის" ფესტივალი, მომავალი წლის იმედით და ჩვენი გენის გადარჩენის სურვილებით. საოჯახო მარნებიდან სადეგუსტაციოდ გამოტანილი ღვინით საქართველოს, ჩვენი მიწა-წყლის სადღეგრძელოს სვამდნენ და მრავალხმათა მუსიკა ბაიანთხევის ტყის პაერივით ეფინებოდა ადამიანის გულსა და გონებას.



თ. ჯავახიშვილი

განცხადება

D ხაშურის რაიონის, სოფელ გომის მიმდებარედ შ.პ.ს. „კომპანია ბლექ სი გრუპ“-ს დაგეგმილი აქვს არსებული ინერტული მასალებისა და ბეტონის მწარმოებელი საწარმოს ტერიტორიაზე ასფალტის მწარმოებელი საწარმოს მოწყობა. საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია ქ. გორში, ბარნოვის ქ. №9ა (T. 599708055; ელ. ფოსტა makich62@mail.ru) მოსახრებებისა და შენიშვნების მიწოდების ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში. 2016 წლის 26 აგვისტოს, 12 საათზე ხაშურის რ-ნი, სოფელ გომის მიმდებარედ, საწარმოს ტერიტორიაზე შედგება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შ.პ.ს. „BS GROUP“

ყურადღება!

D იყიდება ფერმა დიდ ხალებში 26,5 ჰა მიწასთან ერთად, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 29 56 81

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაშურის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.